პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ციხეები ასრულებენ ნებისმიერ სხვა ფუნქციას, გარდა აღმზრდელი-ობისა. ეს ყველაფერის არის ცნობილი – ვინც უკვე იფლა და ვინც ახლა ზის. მკვლელობა, გაუპატიურება, წამება, ფსიქოლოგიური ზემოქმედება – ეს პენიტენციური სისტემის საფუძველია უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსში, ყაზახეთში... აქამდე გვევლინა, რომ საქართველოში ასეთი რამ უკვე არარსებობდა, რადგან დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის პრეტენზიით მოსული ხელისუფლება სხვაინარად წარმოაჩენდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. პატიმრები ციხეებს შესაძლოა, „სუფთა სინდისით“, ტოვებენ, მაგრამ ისინი სულ სხვა ადამიანები არიან. საქართველოში პატიმართა ცემისა და გაუპატიურების გამო აგორებული სკანდალი სცდება „ინფორმაციის გაუფრთხილებლობის“ და „მუნდირის შელახვის“ ჩარჩოებს. ციხის სკანდალი – ეს არის არა პოლიტიკური, არამედ ცივილიზებული დარტყმა. თბილისი ბოლო 5 წლის განმავლობაში აგრესიულად ქმნიდა წარმატებული დემოკრატიული ქვეყნის იმიჯს – პოლიციის მინის გამჭვირვალე შენობებით, ადგილობრივ საგზაო ინსპექციაში ქრთამის აღმოფხვრით, საჩვენებელი ინფრასტრუქტურული ობიექტებით... ამ სკანდალმა აჩვენა, რომ ქართველები აზივლებად დარჩნენ არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ მენტალურადაც. როგორც კი დასავლეთისთვის განკუთვნილი „რეპორტაჟის ფარდა“ დაეშვა, პიროვნებაზე ძალადობა საქართველოში ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილ არადემოკრატიულ ქვეყნებში.

სადღო არ არის, რომ მასმედიაში ინფორმაციის გაფრთხილება სარჩევო კამპანიის დასკვნით ეტაპს უკავშირდება. საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილი რამდენიმე დღის განმავლობაში, ოპოზიციაც და მოქმედი ხელისუფლებაც უკიდურესად შემართულია საბრძოლველად. ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ხელისუფლების შეცვლა, საგარეულოდ, წინამორბედი „ბანდიტების“ ციხეში ჩასმას გულისხმობს. სააკაშვილს კი სურს, მიბაძოს რუსეთს, გადმოიღოს „ძალაუფლების მემკვიდრეობითობის“ რუსული მაგალითი. სამისოდ კი საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაა აცილებული. გამჟღავნებული ციხის კომპრომატი ოპოზიციამ სააკაშვი-

ლის წინააღმდეგ გამოიყენა, რაც საეჭიბო გონიერულია. მილიარდერ ივანიშვილის ოპოზიციურმა ბლოკმა – „ქართულმა ოცნებამ“ მოქმედ პრეზიდენტს ბრალად დასდო ქვეყანაში რესპრესიული სისტემის ორგანიზება და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მასობრივი პიკეტები მოაწყო. ორიგინალური აღმოჩნდა ხელისუფლების პოზიცია – მომხდარ პროვოკაციაში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები დაადანაშაულეს: შსს-ს ინფორმაციით, „ქართული ბლოკის“ (ტექსტი ასეა – რედ.) აქტივისტებმა ვილას ციხის ბაღრავებს ფული გადაუხადეს, რომ პატიმრები კამპრომატები შექმნათ, ხოლო ეს კომპრომატები შექმნათ თვითონ ამ პატიმრების წინააღმდეგ გამოიყენ-

ბინათ. სკანდალი უფრო მეტად აგორდა ვილას ციხის ყოფილი თანამშრომლის, ამჟამად ბელგიაში მყოფი ვლადიმერ ბელუკაძის სატელევიზიო გამოცხადების შემდეგ. მან დაუფრავად განაცხადა, რომ ჯერ ერთი, ვილას ციხეში ჩვეულებრივი, სისტემური და დიდი ხნის დაწყებულია პატიმართა წამება; მეორე – პატიმართა დამცირებისა და ცემის უშუალო განკარგულებებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახლანდელი მინისტრი ბაჩო ახალაია იძლევა; და მესამე – სასჯელაღსრულების აწ უკვე განთავისუფლებულმა მინისტრმა სათუნა კალმახელიძემ პატიმართა წამების შესახებ ყველაფერი იცოდა.

ამგვარად, საქართველოს ხელისუფლებას ჩვეული საქციელი – მომხდარი ოპოზიციის გადაბარალო, ამჯერად არ გამოუვიდა. რომც ვივარაუდოთ, რომ პატიმართა ცემა და გაუპატიურება ვილას „შეეკეთა“, ამ შეკვეთას მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები ასრულებდნენ. ამასთან, უკვე დაკავებულია ციხის ათზე მეტი თანამშრომელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციას (თუკი ასეთი შეკვეთა არსებობდა) ღიად არ გასჭირვებია შემსრულებელთა პოვნა.

იმოქმედებს თუ არა ციხის სკანდალი არჩევნების შედეგებზე? ასეთი რამ ბელგიის ან ესპანეთის ციხეებში რომ მომხდარიყო, ეს იქნებოდა მოქმედი ხელისუფლების სრული ფიასკო. სამისოდ აუცილებელია არსებობა სამოქალაქო საზოგადოებისა, რომელიც საქართველოში არ ჩამოყალიბებულა. არსებობს ოპოზიცია, არსებობენ სააკაშვილის ხელისუფლებით უკმაყოფილო ადამიანებიც, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს. ამიტომაც საქართველოში ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია სისხლიანი გზით (როგორც მოხდა ლიბია/სირია/გვიბტე/იემენში), ან სულაც არ შეიცვლება ის. ანალიტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, არ არის გამორიცხული მეორე ვარიანტი, რადგან სააკაშვილი ძალიან ცდილობს, მისი ხელისუფლების შეცვლა სხვას გადაბარალოს. თუკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თავის წამყვან პოზიციებს შეინარჩუნებს, ეს მოხდება არა იმიტომ, რომ სააკაშვილის ავტორიტეტია ურყევი, არამედ იმიტომ, რომ საქართველო აზიას.

dar t yma adami anur Ri rsebas



ლემი პატიმართა ცემის ვიდეოჩანაწერი, „სახელმწიფოში ძალაუფლებისთვის გამართულ ომში“ კვლავ პირველ ადგილზეა.

1-ლ ოქტომბერს დანიშნულია საპარლამენტო არჩევნები, რომელზეც მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველად, უპირისპირდება სერიოზული მოწინააღმდეგე – მულტიმილიარდერ ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ, რომელიც აგრესიული გამოთქმებით გამოირჩევა, განაცხადა: საქართველოს მთავრობა შეცდა, როცა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემების სიგნალებზე დროულად არ მოვასხდინეთ რეაგირება. „სისტემური პრობლემების სიგნალებზე“

საქართველო თავზარდაცემულია სკანდალით, რომელიც თბილისის ციხეებში წამების ამსახველმა ვიდეომ გამოიწვია. ამ სკანდალმა საკმაოდ მტკივნეული დარტყმა მიაყენა სააკაშვილის ხელისუფლებას. სამი წლის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „საბოლოოდ დაამარცხა კანონიერი ქურდები“, რომლებიც მთელ ქვეყანას აკონტროლებდნენ. ქურდული სამყაროს ლიკვიდაცია იყო ერთ-ერთი დაპირება, რომლის შესახებაც სააკაშვილმა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თავისი საპრეზიდენტო კარიერის დასაწყისში განაცხადა.

„მიხეილ სააკაშვილის განცხადებები უკანონობის მიმართ „ნულოვანი ტოლერანტობის“ შესახებ უფრო მეტი იყო, ვიდრე სახელმწიფოს ბრძოლა დანაშაულებრივი სამყაროს წინააღმდეგ. მაშინ „რევოლუციონერები“ ამ ომს სახელმწიფოში ძალაუფლებისთვის ბრძოლად განიხილავდნენ“, – აღნიშნავს გამოცემის მიმოხილველი.

და აი, ახლა საქართველოს ციხეებში არსებული მდგომარეობა, კერძოდ, თბილისის მერვე საპყრობი-

ივი მიიჩნევენ ომბუდსმენ გიორგი ტულუშის წლიურ ანგარიშს, რომელიც ქვეყნის ციხეებში არსებულ მდგომარეობასა და თბილისის მე-8 საპყრობილეში ცემის ხუთ ფაქტს ეხება.

ევროსაბჭოს კომიტეტი, რომელიც წამების გამოყენების შემთხვევებს იძიებს, აქვეყნებს მონაცემებს – საქართველო შედის იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებშიც პატიმართა რაოდენობა მეტისმეტად მაღალია. „საკაშვილის პრეზიდენტობის დასაწყისიდან, საქართველოს ციხეებში პატიმართა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა, საპყრობილეები გადავსებულია, ხოლო პირობები – საშინელი. სააკაშვილის ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადების შემდეგ, ციხეებში უშიშვნელო დანაშაულისთვის ხანგრძლივი ვადით ხვდებიან“, – აღნიშნავს სტატიის ავტორი.

2006 წელს საქართველოს ციხეებში სასტიკად ჩაახშეს ბუნტი, რომლის დროსაც ოცი ადამიანი დაიღუპა. ოფიციალური ინფორმაციით, ეს ბუნტები იყო იმის მცდელობა, რომ „კანონიერ ქურდებს“ ქართული ციხეების გაკონტროლება დაებრუნებინათ.

წინასაარჩევნო ბრძოლა საქართველოს მოქმედ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის მთავარ ოპონენტ ბიძინა ივანიშვილს შორის უკიდურესად დაძაბულია. ვიდეოჩანაწერები, რომლებიც უკიდურესად აღაშფოთა მოსახლეობა, ოპოზიციურმა ტელეარხებმა არჩევნებამდე ორი კვირით ადრე უჩვენეს.

პირველ ვიდეოში ციხის თანამშრომლები პატიმრებს ცემენ. გარდა ამისა, „მაესტრომ“ აჩვენა მეორე ვიდეოს ფოტოები, რომლებზეც საპყრობილის მუშაკები პატიმრებს საპოლიციო რეზინის ჯოხით აუპატიურებენ.

საპარლამენტო არჩევნების წინ აგორებულმა ამ სკანდალმა შესაძლოა, სერიოზულად დაზარალოს მიხეილ სააკაშვილის რეპუტაცია, რომელსაც რეფორმატორის იმიჯის დამკვიდრება სურდა. როგორც ცნობილია, 2003

diskusia saqarTvel os ci xeebSi wamebis Sesaxeb saakaSvil simijsul axavs

წლის „ვარდების რევოლუციის“ ლიდერმა რკინის ხელით ვაატარა საქართველოს სამართალდამცავი სისტემის, იუსტიციის ორგანოებისა და ადმინისტრაციის რეფორმები. „მისი ბრძანებულებით, ათასობით მოსამართლე და სახელმწიფო მოხელე სამსახურიდან გაათავისუფლეს. სააკაშვილი ასეთი მეთოდებით ცდილობდა კორუფციისა და თავაშვებულობის დამარცხებას სამართალდამცავ ორგანოებში“.



„აქამდე მიიჩნეოდა, რომ სააკაშვილმა მოახერხა კორუფციის დამარცხება. საქართველომ დაბალი კორუფციის ქვეყნების სიაში 64 პუნქტით გადაინაცვლა და იტალიის წინა პოზიცია დაიკავა“.

პრეზიდენტმა სააკაშვილი, მისი თქმით, დაზავრულია. დაკავებული არიან ციხის თანამშრომლები, სასჯელაღსრულების მინისტრი გადადგა.

მოახლოებულ არჩევნებზე საქართველოს მთავარი მოწინააღმდეგეა მილიარდერი ივანიშვილი. ზოგიერთი ანალიტიკური სააგენტო ბიძინა ივანიშვილს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს.

მსოფლიო პრესის მიხედვით

„დაახლოებით ორი წლის წინ, 2010 წლის ივნისში **Éiri ádháir** ბ-ის სპეციალურმა კორესპონდენტმა ოლგა ალიონოვამ თავისი გამოცემისთვის მოამზადა დიდი რეპორტაჟი საქართველოს პენიტენციური რეფორმის შესახებ სახელწოდებით – „ციხეების მომსახურების ბიურო“.

საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც 2008 წლის 8 აგვისტოს ამბების შემდეგ გონს მოსვლა უკვე მოესწრო, გალანტურად ეპყრობოდა რუსეთის დემოკრატიულ პრესას, ხანდახან პაემანზეც კი ეპატიუებოდა, უმასპინძლებოდა, მომიხიბლაკად უღიმოდა, უჩვენებდა საკუთარ სამფლობელოებს, ყურში ინტიმურად ეჩურჩულებოდა თავისი წარმოდგენილი წარმატებების შესახებ... უნდა ითქვას, რომ პრესაც შესაბამისად ეცეოდა – სიამოვნებისგან დნებოდა, ალტაცებას ვერ მალავდა, კომპლიმენტებს არ იშურებდა. „ჩვენთან, რუსეთშიც რომ იყოს ასე, ცხოვრება კი არა, სიმღერა იქნებოდა!“

რა ბოროტი ირონიაა. გლდანის ციხეში პატიმართა წამების ვიდეოჩანაწერებმა სრულიად საქართველო შეძრა – და ახლა რუსეთელ ჟურნალისტთა ოხერა და ალტაცებები დაცინვად მოჩანს. საქართველოში მომხდარი ამ ბოლო სკანდალის შემდეგ ალიონოვას იგივე წერილი ტრავიკომიკურია. მაგალითად, ავტორი წერს: „საქართველოს ხელისუფლების მტკიცებით,

bal ada gi danis ci xeze-

დემოკრატიული გარდაქმნების ფლაგმანი და შუქურა წუმპეში აღმოჩნდა



აღამიანი თავისუფლებას კი კარგავს, მაგრამ იგი ევროპული სტანდარტების ცხოვრების გამოცდილებას იძენს“. ჩნდება საგსებით კანონზომიერი შეკითხვები: ვინ უთხრა საქართველოს ხელისუფალთ, რომ ევროპულ სტანდარტებში შედის სექსუალური ძალადობა ცოცხლის მეშვეობით? ვინ მოატყუა ისინი?

სხვა ციტატა: „ციხეში პატიმართა ყოფნის მხოლოდ პირობები როდი შეიცვალა. ადრე, როცა ადა-

მიანის უფლებებზე ლაპარაკობდნენ, გულისხმობდნენ პატიმართა ცემის აკრძალვას. ახლა ნებისმიერმა პატიმარმა იცის, რომ უფლება აქვს ჰქონდეს სუფთა საკანი, ხარისხიანი საკვები, ადვოკატთან ურთიერთობის შესაძლებლობა“.

ჩვენ იქნებ ერთმანეთისა არ გვესმის? ვიდეოში პატიმრებს რომ სცემენ, სინამდვილეში ადვოკატებს ხვდებიან? ასეა დემოკრატიულ ევროპაშიც?

ირონია ახლა უადგილოა. სა-

შინებება მოხდა. საქართველოს საზოგადოება თავად მოუვლის საკუთარ ხელისუფლებას. ჩვენ სხვა რამე გვაფიქრებს – როგორც გაირკვა, ავტორიტეტული, სერიოზული და პროფესიონალური გამოცემები პუბლიკას წლების განმავლობაში არაჯანსაღი ინფორმაციით კვებავდნენ და აი, უცებ – ასეთი აფრონტი.

მოუსყიდველ დამკვირვებელს ახალი არაფერი შეუტყვია. ქართული ოპოზიცია, ქართველი უფლებადამცველები გაპყვიროდნენ იმის შესახებ, რაც სინამდვილეში ხდებოდა. ბოლოს და ბოლოს, სოციალური ქსელის დახმარებითაც შეიძლება სიმართლის გარკვევა. არა, ყველანაირ მტკიცებულებას ზურგი შეაქციეს. ვითომდა ბოროტი ენების, ჭირვეული უიბლბოების, კრემლის ხელი ერია ამ ყველაფერში. პატარა საქართველომ შემლო, დიდმა რუსეთმა კი – კერა. არანაირი შთაბეჭდილება არ მოახდინა თბილისში მაისის ბო-

ლოს გამართული მიტინგის სისხლიანი სასაკლავო ამსახველმა ფოტომაც კი. ამის შემდეგ რას გვიბრძანებთ, როგორ უნდა მოვექცეთ დანაშაულებრივ სამყაროს?

როგორც გაირკვა, საქართველოს ხელისუფლების გამოცევილმა ჟურნალისტებმა დათურე სამსახური გაუწიეს თავიანთ კერპს. ჟურნალისტები ფოტოკამერებით აღბეჭდავდნენ: სუფთა მყუდრო საკნებს, ფერად სუფთა თეთრულს, მაგიდაზე ხილს, პაემნების ფართო დარბაზებს, კომპიუტერებს, სპორტულ ტრენაჟორებს, სამედიცინო კაბინეტებს (მათ შორის – საოპერაციო, რენტგენისა და სტომატოლოგიის). 2008 წელს ამენებული ციხე, რომელიც ფოტოებზე სანატორიუმს ჰგავდა, მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამებოდა. ჟურნალისტს ლამის სარეკლამო ბუკლეტი გამოუვიდა: „გეპატიუებათ საქართველოს ციხეები“.

პრობლემები ყველგან არის. თუმცა ამჯერად, დემოკრატიული გარდაქმნების ფლაგმანი და შუქურა წუმპეში აღმოჩნდა. ვინც „ევროპულ“ საქართველოს თვალეში გვჩრდიდა და გვატყუებდა, ჯერჯერობით ბოლოში არ მოუხდია, არ მოუნანიებია...

მოისმენს კი „ბალადას გლდანის ციხეზე“ ამერიკა და ევროპა?

wamebi s am saxvel ma vi deom saqarTvel os qal aqebSi uwes r i goba gamoi wvi a

საქართველოს ერთ-ერთ ტელეარხზე უჩვენეს ვიდეო, თუ როგორ სცემენ და აუპატიურებენ საპყრობილის თანამშრომლები პატიმრებს.

როცა ასეულობით აღამიანი პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდა, მიხეილ სააკაშვილმა სასწრაფოდ დაემო წამების ფაქტები და პირობაც დალო, რომ დამნაშავეებს დასჯის.



ვიდეოს ზოგიერთი მონაკვეთი მეტისმეტად გაშიშვლებულია – მაგალითად, ნაჩვენებია, თუ როგორ აუპატიურებენ შიშველ პატიმარს საგნით, რომელიც საპოლიციო რკინის ჯოხი აღმოჩნდა. გაუგებარია, თუ როდის გადაიღეს ვიდეო, მაგრამ ხელისუფლება მის ნამდვილობას არ უარყოფს.

მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შეეჩება ოპოზიციური ჯგუფის – „ქართული ოცნების“ სასტიკ გამოწვევას. ამ ჯგუფის ლიდერია ბიძინა ივანიშვილი, რომლის ერთ-ერთი პოლიტიკური მოკავშირე ზის გლდანის ციხეში, სადაც ეს ძალადობა გადამდებული. სწორედ მან გადასცა „მესამე პირს“ ვიდეოჩანაწერი, რომელშიც სოლიდური თანხა გადაიხადა, – აცხადებს პროკურატურა.

გამოცემას მოჰყავს მოსაზრებები სააკაშვილის ხელისუფლების მოწინააღმდეგეებისა, რომელთა მტკიცებითაც, ციხეებში ასეთი ვითარება „სულთვანი ტოლერანტობის“ შედეგია: მცირე დანაშაულის გამო ხალხს ციხეებში აგზავნიდნენ ჩადენილი დანაშაულისთვის შეუსაბამო ვადით და ამიტომაც ბოლო ათი წლის განმავლობაში პატიმართა რაოდენობა 6 ათასიდან 24 ათასამდე გაიზარდა.

წამების თავიდან აცილების ევროპული კომისიის მოხსენებაში ბრალდებულა გლდანის ციხის ყოფილი პატიმრების წამების გამო. იმ პატიმართა 30 პროცენტის სხეულებზე, რომლებიც 2011 წელს გარდაიცვალნენ, აღმოჩენილია ფიზიკური და-ზიანებისა და წამების კვალი.

The New York Time

gaero saqarTvel os ci xeebSi patimarTa wamebas gmobs

გაეროს აღამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი ნავი პილაი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გამოიძიოს საქართველოს ციხეებში წამებისა და გაუპატიურების ფაქტები.


„მოვუწოდებთ მთავრობას, მოგვეცეს გარანტია იმისა, რომ საგულდაგულოდ გამოიძიებს არა მარტო ვიდეოჩანაწერში ასახულ, არამედ ნებისმიერ სხვა ბრალდებას, რომელიც აღამიანის უფლებების დარღვევას ეხება და მასში მონაწილე ყველა პირს პასუხს მოსთხოვს“, – განაცხადა ნავი პილაის წარმომადგენელმა რუპერტ კოლივლმა.

„ეს ჩანაწერები მართლაც, რომ შოკისმომგვრელია. მასში ნაჩვენებია, თუ როგორ უსწორდებიან ციხის ბაღრაგები პატიმრებს ფიზიკურად და მორალურად, ამცირებენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ მათ“, – განაცხადა კომისრის წარმომადგენლებმა.

newsinfo.am



gaeros bavSvTa fondi saqarTvel oSi patimarTa wamebas aprotestebis



გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) გმობს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ბავშვთა უფლებების დარღვევას.

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, არც ერთი ბავშვი არ უნდა გახდეს წამების, სასტიკი, არადამიანური და მისი ღირსების შექლახავი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი. ამაზე ყურადღებას ამახვილებენ სხვა საერთაშორისო და რეგიონული შეთანხმებები და კონვენციები, რომლებზეც საქართველოსაც აქვს ხელი მოწერილი და რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტში, – აღნიშნავს ფონდი.

UNICEF-ი შემოფოთებას გამოთქვამს აგრეთვე ავჭა-

ლის არასრულწლოვანთა გამოსწორებულ დაწესებულებაში იქ მყოფი მოზარდების მიმართ მოპყრობის გამო. ეს ფაქტები საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენებაში მოხვდა და ამიტომაც გაეროს ბავშვთა ფონდი მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

UNICEF-ი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, საფუძვლიანად გამოიძიოს პატიმრების, თავისუფლებადკვეთილი არასრულწლოვანების მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტები და უზრუნველყოს ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოება.

საქართველოს ორი ტელეარხით ნაჩვენები შოკისმომგვრელი ვიდეოჩანაწერები გაცხადდა, რომ საქართველოს ციხეებში პატიმრებს არადამიანურად ეპყრობოდნენ – სასტიკად სცემდნენ, გაუკლმართებელი გზით აუპატიურებდნენ. ეს კადრები გადაიღო ციხის ყოფილმა თანამშრომელმა, რომელიც ახლა ბელგიაში იმყოფება.

ბოლო დღეების განმავლობაში თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში საპროტესტო აქციები იმართება.

ria.ru

მიმოხილვა მოამზადა ზ. ჭავჭავაძემ.

ჯეგალ დავლიანიძე

ამერიკული დემოკრატია 100 დღეში

1992 წლიდან, როცა საქართველო შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების უღლის ქვეშ მოექცა, გაზაფხულის პირველივე თვეებში ევროამერიკელი მხაბიჭები შევარდნაძისა, მალ-მალე ჩამოდიდნენ საქართველოში, რათა მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ შევარდნაძისათვის თავიანთი მხარდაჭერა!

ვინა დაგვჩა? რა თქმა უნდა, ჯეიმს ბეიკერი ამ მხრივ საინტერესო იგი 1991 წლის 26 მაისს ესტუმრა თავის უსაყვარლეს და უტურფეს მეგობარს, „დიდ პოლიტიკოსს“ – შევარდნაძეს.

ენახო, რას წერს „საქართველოს რესპუბლიკა“ (№90, 1992 წ.) თავის პირველ გვერდზე:



„ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი საქართველოში!

ამერიკა მხარს უჭერს დემოკრატიულ საქართველოს.

26 მაისს, ჩამოსვლისთანავე, ბატონმა ბეიკერმა განცხადება გააკეთა პუბლიცისტებისათვის. მან თქვა:

„მოხარული ვარ, რომ ჩამოვედი დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოში და თან ჩამოვიტანე პრეზიდენტ ბუშისა და ამერიკელი ხალხის საუკეთესო სურვილები (სულ რაღაც ოთხი თვის წინ კი, საქართველო თურმე დიქტატურაში იხრჩობოდა და ასე უცბად, სულ რაღაც ასობდ დღეში საქართველო დამოუკიდებელი და დემოკრატიული გამხდარა! – ჯ.დ.)

თქვენ იტვირთეთ აშშ-ით დემოკრატიული საზოგადოება – „თავისუფლების ბურჯი“, როგორც ამას პრეზიდენტი ბუში უწოდებს... არ არსებობს სხვა არჩევანი, თუ საქართველოს სურს შევიდეს დემოკრატიულ ერთა დასავლეთის თანამეგობრობაში.

წვლილი, რომელიც თქვენმა მთავრობამ შეიტანა დემოკრატიული, პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარების საქმეში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

... ახლა, როცა ეროვნული გაერთიანების პროცესი დაიწყო, იმედი გვაქვს, რომ ეს პრინციპი გავრცელდება თქვენს არჩევნებზე (რა ეროვნულ გაერთიანებაზე ბატონებო საუბარი, როცა ქვეყანაში, პირიქით, სისხლი იღვრება და ხალხი ორადა გახლეჩილი? – ჯ.დ.)

პირადად ჩემთვის ძალზე სასიხარულოა, კიდევ ერთხელ შევხვდე კარგ მეგობარს ელვარდ შევარდნაძეს. იგი გაბედული ლიდერია, რომელსაც იცნობენ და პატივს სცემენ

mware gakveTil ebi evroamerika, ruseTi da saqarTvel o

ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

პლანეტაზე, მსოფლიო დემოკრატიულ მოძრაობაში შეტანილი წვლილისათვის.

საპატიო სტუმარს მივსალმობ ბატონი ელვარდ შევარდნაძე. მან კერძოდ, განაცხადა:

„მინდა ვთქვა, რომ ბატონ ბეიკერის სტუმრობა მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებ-

აქ შესაძლო ჩამობრძანებაზე. თქვენ მშობლიურ ქალაქ ჰიუსტონში, დედაქვეყნის სახლშიც კი ამაზე ვსაუბრობდით (საქართველოში რომ ხელისუფლება დაემხო, იმისათვის, რომ ჯეიმს ბეიკერი როგორმე საქართველოში ჩამოსულიყო, თურმე დედის თანდასწრებითაც კი თათბირობდნენ, გვემუხს აწყობდნენ! – ჯ.დ.)

შემდეგ არაერთხელ მიფიქრია, როდის დამიბრუნებდით ვალს. ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც ჩემი სამშობლო დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა.

ახლა ბარი-ბარს ვართ (რამხელა ვალი ჰქონია ბეიკერს ელვარდ შევარდნაძისა, რომ მის გადახდას მთელი საქართველოს თავისუფლება შეაღია! – ჯ.დ.)

თქვენი ჩამობრძანება პოლიტიკური განცხადება იმით მხარდასაჭერად, ვისაც გულმხურვალედ სურს, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო გაერთიანებაში. ერთა ოჯახის პატივცემული წევრი გახდეს!

ჩვენი სამყარო საქართველოა, მხოლოდ იმ გაგებით, რომ ჩვენი სამშობლოსათვის ადგილს ვებუთ დიდ ზოგადსაკაცობრიო სამყაროში“.

დავალება: საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება

ჩემს მკითხველს ვთხოვ გაიხსენოს, რომ შევარდნაძე თავის ევრო-ამერიკელ „ძმებთან“ საუბრებისას, განუწყვეტლად საუბრობს რაღაც დიდ მსოფლიო ერთობაზე, სტან-

სა და პუბლიცისტის, ელიზბარ ჯაველიძის ერთ-ერთ მეტად საყურადღებო წიგნს, რომლის სათაურია „ავაპზე, ჩემო მამულო!“:

„უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიო გეოპოლიტიკური ვითარება, დღევანდელი პროცესები ზღვარდაუღებელი გლობალიზაციის ფონზე რომ მიმდინარეობს. იწყება მსოფლიოს ახალი გადანაწილება, რომლის არქიტექტორთა უმთავრესი მიზანია სამყაროს მრავალფეროვნების ადგენა დედამიწის ზურგიდან და ერთფეროვანი მსოფლიოს შექმნა, სადაც იცხოვრებს ხალხი ყოველგვარი ეროვნულ-ენობრივი სპეციფიკურობისაგან დაცლილი, ეროვნული ცნობიერების, ზნეობისა და ტრადიციებისგან გაწმენილი, სამშობლოს სიყვარულის განცდა-ჩაკეული... ადამიანთა და ერთა მოძულე ადამიანთა და ერთა მოძულე იღებს მასონური მოძღვრებიდან“.

ჩვენ ამ თემას შემდგომშიც დავუბრუნდებით იმიტომ, რომ მსოფლიოში განვითარებული, ერთი შეხედვით, უცნაური თუ აუხსნელი მოვლენები, სწორედაც ცივილიზაციის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს.

მანამ კი დავუბრუნდით საქართველოს, რომელიც მსოფლიო არქიტექტორებს დასაშლელი ქვეყნების საიდუმლო საიამო ჰყავთ შეყვანილი.

ევროამერიკას, ამ მხრივ, გული საგულეში აქვს. სიმშვიდეც კი ემალება, რადგან ერთ-ერთი ძლიერი წარმომადგენელი – შევარდნაძე გააჩნიათ კავკასიაში, კერძოდ – საქართველოში.

შევარდნაძე კი, დიდ პოლიტიკოსად და დემოკრატიის სანთლად

დაბრალდეს. მათ უნდა იხსნან საქართველო ქართველებისგან! საამისოდ, შევარდნაძე, ვითომდა დესტრუქციული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად, დასავლეთ საქართველოში, უფრო კი სამეგრელოში, აწყობს სპეციალურ, შეიარაღებულ ლაშქრობებს. მარცხავენ სამეგრელოს მოსახლეობას, ჰხოცავენ, აპატიმრებენ! ართმევენ ქონებას, უხოცავენ პირუტყვს! აწამებენ ადამიანებს. დედის თვალწინ ზვრეტენ ჭაბუკებს. აუპატიურებენ ქალებს და თან აღვივებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის შუღლს!

იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდია მეგრელია, სამეგრელოში ეძებენ ე.წ. ზვიადისტებს ანუ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს და ადვილზე ზვრეტენ.

ყოველივეს აქვს ქვეტექსტი. ყოველივე დაკვილია იმიტომ, რომ სამეგრელოში დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომ, როგორმე აჯანყდეს იქაური ხალხი...

ეს კი, დიდი გემის ერთი ნაწილია.

საქართველოზე ზომ ისედაც არის საუბარი, როგორც პატარა იმპერიაზე.

საქართველოში არის ოდესღაც სპეციალურად შექმნილი სამი ავტონომია: აფხაზეთისა, სამხრეთ ოსეთისა და აჭარისა!

აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არეულობის გამოწვევა შედარებით ადვილია. იქ სეპარატისტული განწყობლება უკვე დათესილია, ღვივდება და საჭირო კლიმატის დადგომისთანავე, ჯეჯილიც ამოიწვევება.

სამეგრელო რომ მიემატოს ამ შავხელ ჩანაფიქრს, ამაში რა არის ცუდი საქართველოს მტრებისთვის?

შევარდნაძე ამას ლამობს. გარეგნულად კი – აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან შეკრებილი მოლაშქრეებით, ჯაბა იოსელიანი და თენგივ კიტოვანი მხედრობის-გვარდიელებთან ერთად აწიოკებენ სამეგრელოს.

ყოველივეს აქვს ელფერი შინაგანი შუღლისა. ერთმანეთზე ქართველთა წაიკედებას!

ევროამერიკა თავის ზრახვებს ახორციელებს, ოღონდ თვითონ აუცილებლად ჩრდილში უნდა იდგეს და, როგორც წესად მოგახსენეთ – ყველაფერი თვით ქართველების შინაომს და რუსეთის აგენტურას უნდა დაბრალდეს. (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



დარტებზე, ვალდებულებებზე... როცა ისმენ ყოველივე ამას, ძალაუნებურად ეჭვი გაიპყრობს – მართლაც, ეს შევარდნაძე, რაღაცა საიდუმლო ორგანიზაციის წევრია, რომელიც ცდილობს მსოფლიო-ში ერთი მთავრობის, ერთი სარწმუნოების, ერთი სასამართლოს, ერთი პროკურატურის, ერთი ჯიშის ადამიანის შექმნას... საამისოდ კი საჭიროა სხვადასხვა ეროვნებათა წაშლა-განადგურება და იმ სარწმუნოებათა ნგრევა-მოსპობა, რაც აქამდე გააჩნდათ ამა თუ იმ ხალხს!

სულ არ მსურდა მესაუბრა გაბადებულ მასონთა უშველებელ გაერთიანებებზე, მაგრამ იმდენი ფაქტია, იმდენი კითხვაა, რომ იბულებული ვარ, ჩავხელო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოსის, პროფესორის, მწერლის-

შერაცხილი (შემდგომში, სანთელი იქცევა შუქურად, ოღონდ უკვე მიხეილ სააკაშვილი მოგვეკლინება!), დავალეხას პირნათლად ასრულებს. დავალეხას, როგორც გითხარი, გახლავთ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება ისე, რომ ყველაფერი რუსეთს და თვით ქართველობას

ევროამერიკა თავის ზრახვებს ახორციელებს, ოღონდ თვითონ აუცილებლად ჩრდილში უნდა იდგეს და, როგორც წესად მოგახსენეთ – ყველაფერი თვით ქართველების შინაომს და რუსეთის აგენტურას უნდა დაბრალდეს. (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში www.saertogazeti.com შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე **საერთო გაზეთი**

მოგზაურობა საგოგლოში

ახალქალაქის ცენტრი: XIX საუკუნის სომხური ეკლესია მლოცველებს ვერ იტევს, ეზოში მათი სულიერი მამის ვაზგენ I-ის ძეგლი და სპიტაკის მიწისძვრის მსხვერპლთა მემორიალი, კულტურის სახლის წინ კი მესროფ მამოციის ძეგლი დგას. მოშორებით, ასპინძისაკენ ჩამავალი გზის სიახლოვეს, ხევში, რუსთველის ბიუსტი შეყუჟულა. ქალაქის ქუჩებში სომხური სიმღერები ისმის. რაიონულ ცენტრში დიდხანს არ ვჩერდებით და ძველი ახალქალაქის ნანგრევებისკენ მივირქვართ.

ნაქალაქარის ციტადელისგან ბევრი აღარაფერი დარჩენილა. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთ-თურქეთის ომის, პატალიებს თითქმის სრულად გაუნადგურებია იგი.

1807 წლის 8 მაისს, თრიალეთიდან, თავფარავანის ტბის გამოვლით, გადმოსულმა რუსეთის არმიამ, გულოვიჩის მეთაურობით, ახალქალაქი ალყაში მოაქცია. რუსებთან გამოსხადდა ციხის ყოფილი კომუნდანტი გამაჰმადიანბული ბეგი მანაბელი, მაგრამ მის კონსულტაციებს დადებითი შედეგი ვერ მოუტანია რუსებისთვის. მართალია, მათ ერთ-ერთი გოლოლის ალბა მოახერხეს, მაგრამ იგი თავისებური ხაფანგი აღმოჩნდა, რადგან თურქებმა მალე ააფეთქეს და მიწასთან გაასწორეს, რუს ჯარისკაცებთან ერთად. 9 მაისს, ბრძოლას ახალციხიდან ამოუსწრო ფაშა სელიმ ზიმშიაშვილმა, რომელიც ახალქალაქის დამცველ მმისშვილს წამოემშველა და გულოვიჩის კორპუსი თავფარავანძლე გადარეკა. რუსებმა 5 საათში 900 კაცი დაკარგეს.

1810 წლის 25 ივლისს, აქ ახალქალაქის სამხრეთ მისაღვომებთან რუსულმა ჯარმა, იტალიური წარმოშობის გენერლის მარკო პაულიჩის მეთაურობით, დამით დაამარცხა და, ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აოტნა სპარსნი, თურქნი და ლეკნი, ვიდრე თექვსმეტი ათას კაცამდე“. მაგრამ ახალქალაქი თურქებმა საბოლოოდ მხოლოდ 18 წლის შემდეგ დათმეს. გენერალ-ფერლდმარშალმა ივანე პასკევიჩმა ციხესიმაგრეში გამაგრებული თავისი კაცები გაუგზავნა მოსალაპარაკებლად — უსისხლოდ დამნებდითო. პარლამენტარებს ციხის წინ დახვედრან იქაურები და უთქვამთ — „ჩვენ არც ერევენლები ვართ და არც ყარსელები, ახალციხელები ვართ, ცლოშვილი კარგა ხანია გაეხიზნეთ და აქ დარჩენილმა 1000 კაცმა გადაეწყვიტეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლოთ“. 1828 წლის 24 ივლისს რუსეთის არმიამ 18 ზარბაზნიდან გაუსხნა ცეცხლი ახალქალაქს და



Zveli axal qal aqi

სანტრალური ჰავანით

ქვა ქვაზე არ დატოვა. მეორე დღეს, როცა ახალქალაქელთა დასახმარებლად არტანუდიან 2 ათასი ლაზი ამოვიდა, ბრძოლა დამთავრებული იყო. ახალქალაქში დატყვევებულ 16 დიდებულს შორის იყო გამაჰმადიანბული ქართველიც სანჯაყბეგი ფალაგანდოვილი. იგი გენერალმა ოსტენ-საკენმა და პოლიკოვნიკმა რავესკიმ თან იახლეს ხერეთისის ციხის ოპერაციაში.

... და აი, ახლა ვგვავარ ნაქალაქარის ტერიტორიაზე, შევცქერი მორღვეულ გალაგანს, გოლოლებს, ქარვასლას და ვფიქრობ რუსთა პოლიტიკაზე: ნუთუ ყველწაფერი პასკევიჩის ხარბი ბუნების ბრალია? გასაგებია, რომ, როგორც ყველა იმპერია, რუსეთიც საკუთარი საზღვრების გაფართოებისთვის ღვრიდა სისხლს სამხრეთში, მაგრამ აქედან რომ გამაჰმადიანბული ქართველები თურქეთში არ გაესტუმრებინა, ან მათ ადგილზე ქრისტიანი ქართველები დაესახლებინა და არა ერზრუმელი სომხები, რუსეთი განა ასეთ დღეში ჩაგვყრიდა ან ჩაიგდებდა საკუთარ თავს? პასკევიჩის ნამოქმედარი ხომ დღესაც ნადმივით დევს ქართველებით ნაკულ ვაგახეთში და არც არავინ იცის, როდის ან ვის სასარგებლოდ აფეთქდება იგი.

ჩვენი მეგზური გურამ წინქალაქე მიაბობს:



— სოხუმის დაცემის წინა დღეებში ახალქალაქში უმძიმესი ვითარება შეიქნა ქართველებისთვის. აქაური სომხების აგრესული ნაწილი მეორე ყარაბახის მოწყობას აპირებდა ვაგახეთში. რამდენიმე სომეხმა მეგობარმა ჩუმად შემატყობინა— გურამ, შენ რომ აქედან წამსვლელი არა ხარ, ვიცით, მაგრამ ცოლ-შვილი მაინც გადამალო. დღე-დღეზე ველოდი თოფის გასროლას, მაგრამ უფალმა გადავარჩინა ყველანი — სომხებიც და ქართველებიც...

ნაქალაქარის ტერიტორიაზე შევდივართ. თავის დროზე აქ არქეოლოგებმა ნეოლითისა და ადრე-რინჯაოს ეპოქების ნამოსახლართა კვლასაც კი მიაგნეს, ჩვენ კი ახლა IX-X საუკუნეების ეკლესიის ნაშთებს ვეძებთ, რომელიც ისტორიული საბუთებით თავისუფალი ჯვრის ტიპის გუმბათიანი ტაძარი ყოფილა. როგორც ირკვევა, იგი ნაქალაქარის ძირითადი შესასვლელთან ახლოს, აღმოსავლეთ გალაგანთან მდგარა, ახლა კი მხოლოდ ზედიერკვლის დონეზეა შემორჩენილი.

— ეს რა არის? — ვეკითხები გურამ წინქალაქეს და ერთ სწორკუთხა, ფისით გაბიდნულ ქვასთან ვუხმობ.

გურამი მხრებს იჩენავს და მეუბნება, რომ ასე გულდასმით არ დაკვირვებია ადრე ამ ალაგს. ქვა, რომელზეც ჰორიზონტალურად არის ამოკვეთილი სომხური სიტყვები, ვერტიკალურად არის ჩამჯდარი მიწაში. იქვე ფისის ნატყვები ყრია. ვიდაცას საგანგებოდ თავდაყირა ჩაუმაგრებია მიწაში, რითაც კედლიდან ჩამოვარდნის იმიტაცია შეუქმნია, მაგრამ ნანგრევთა გროვში ქვა ამგვარად არ ჩაესობოდა და ფისიც არ გახდებოდა საჭირო მის გასამაგრებლად. როგორ შეიძლება, რომ ამან წინააღმდეგობა შეუქმნას ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის



ნაქალაქარის ერთი მონაკვეთის საერთო ხედი, ქარვასლის ნაშთები და ციხე-კოშკები

მუზეუმში არსებულ ისტორიულ ქვას, რომელიც საუკუნის წინათ ეკლესიის გალაგანში ნახეს იეროსტომამვილმა და ექთაფიშვილმა. ქვაზე არსებული ქართული ასომთავრული წარწერა XIII საუკუნისაა: „სახელითა ღმრთისათა ადგა-შენე ესე წმიდაი ეკლესიაი მეფობასა დავითისასა და ამირსპასალარობასა ავაგისა, გამრეკელის ძისა: კახა, ასიბას და ლიპარიტის პატრონობასა შინა... სალოცველად სულისა... ისღიაგე შეუნდვენ ღმერთმანამინ“. ისღიაგე ძველი ტაძრის ხე-

ლახლა მაშენებელია, რასაც ადასტურებს ნაეკლესიარის სამშენებლო ფენებში აღმოჩენილი V-VII და VIII-IX საუკუნეების ქვაჯვართა პოსტამენტები და ლავგარდანის ფრაგმენტები. ეს იმას ნიშნავს, რომ სანამ ქალაქი დაარსდებოდა, აქ მანამდეც იყო ადრეუხასაუკუნეების დასახლება, რომელმაც XI ს-ის 30-იან წლებამდე უგალანოდ არსებობდა. როგორც ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ქვეყნის ძლიერი ეკონომიკური წინსვლის შედეგად ამ ეპოქაში (ადრეუხასაუკუნეებში — გ.ქ.) ქალაქები ჩნდება და იზრდება უცხოოდ, უზღუდოდ, „უპატრონოდ“... ასეთი ქალაქები, ბუნებრივია ერთგული დასაყრდენი უნდა ყოფილიყვნენ მეფის ხელისუფლებისთვის დიდგვაროვან ფეოდალებთან ბრძოლაში“. სწორედ ასეთი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო ეს უზღუდო ქალაქი ბაგრატ IV-თვის კლდეკარის ერისთავთან ბრძოლაში. სწორედ ბაგრატ IV-მ შემოავლო გალაგანი აქაურობას და ნამდვილ ქალაქად აქცია. ამას ადასტურებს კარიბჭესთან ნაპოვნი ქვა ასომთავრული წარწერით, რომელშიც, მეფესთან ერთად, დედამისი — მარამიც არის მოხსენიებული.

„მატიანე ქართლისაი“ მოგვითხრობს, რომ ლიპარიტ ბაღვაშთან დამტყრებული ბაგრატ IV და მისი დასის კაცები „გავიდეს ვაგახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ფაშა უზღუდო იყო“. მაგრამ ეს ზღუდე მაინცა და მაინც მტკიცე რომ არ ყოფილა, ამას 1064 წლის ამბებიც ადასტურებს. იგივე მატიაზე გადმოგვცემს, რომ ალფ-არსლანის წინააღმდეგ „მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძონი ძლიერად დგეს ახალქალაქს და ბრძოდეს სამ დღე, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა გასრულებულ იყო ახალქალაქი, ვერდარა დაუდგმიდეს ბრძოლა ძლიერთა...“ შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყვე ყენეს ურიცხვნი სულნი ქრისტიანეთანი, აღიდეს განძი და ტყვე ძლური და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა“. გიორგი მცირე კი დასძენს, რომ თურქებმა არა მარტო რიგით მოქალაქენი, „არამედ დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეუფოისა ჩვენისანი ძვირ-ძვირად მოსრნეს და წარწყმდეს“.

... ტერიტორიის დათვალიერებისას ქვეყრის ყელის მსგავს ხერხელთან ვჩერდებით. ოპერატორი სპეცგანათების დახმარებით იღებს მას, მაგრამ ეს ქვეყრი არ არის, ხაროს უფრო ჰგავს. თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი ნაქალაქარის აღმოსავლეთ მონაკვეთშია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი იმ 150 მეტრისანი გვირაბის ერთი შემადგენელი რგოლია, რომელიც არქეოლოგთა გამოკვლევით ფარავნისწყალზე ჩაიღოდა. მდინარეს გადავცქერი... აქ, ფერ-ლოზე კიდევ ერთი ნაეკლესიარი მოჩანს...

ახალქალაქი თავისი ციხე-გოლოლებით, სასახლით, ტაძრებით, ქარვასლით, ზეთისხაღვლებით, წისქვილებით, ხაროებით, გვირაბებით, მოკირწყლოვი გზებით გაერთიანებული საქართველოს პირველი ქალაქი ყოფილა.

... ყოფილა. ყველაფერი ყოფილა, ყოფილან ქართველებიც, მაგრამ რა ელის ვაგახეთს ხვალ?...
გელა ქოქიაშვილი
ავტორის ფოტოები

სომხური ეკლესია ახალქალაქში



ფარაონებს „ჯადოსნური“ ქულები ჰქონდათ




ფარაონის ცილინდრები ეს გამოუცნობი ფორმის ნივთები მეცნიერებს საგონებელში აგდებს.

1967 წელს კავკასიის მთიანეთში უძველესი ეზოთერიკული ხელნაწერი აღმოაჩინეს, სახელწოდებით „სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლო“. ხელნაწერი შეიცავდა ინფორმაციებს მთვარისა და მზის ცილინდრების შესახებ. უცნობი ავტორის აზრით, ცილინდრული თავსაბურავები ეზურათ ფარაონებს და ძველ ეგვიპტელებს სასიცოცხლო ენერჯის გასამყარებლად და ღმერთებთან მუდმივი კავშირისათვის.

ცილინდრული ქულები სპეციალური ნივთიერებისგან მზადდებოდა ძველ ეგვიპტურ რეცეპტის მიხედვით. ფიზიკოსების, ქიმიკოსების, ექიმების, ელექტრასენსების და ეგვიპტელების ერთობლივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფარაონთა ქულები შეიცავდა უდიდეს სასიცოცხლო ენერჯის, თავსაბურავები მის მფლობელს იცავდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან, ნეიროტროფიკული, ჰიპერტონიული სნეულებებისგან, ასთმისგან, უძილობისგან, თავის ტკივილებისგან. იგი ხსნიდა სტრესებს და პროფილაქტიკური საშუალება იყო ათეროსკლეროზის საწინააღმდეგოდ. ცილინდრების შემადგენლობა მეცნიერებს საშუალებას აძლევს ივარაუდონ, რომ ეს იყო ერთგვარი მეტალოთერაპია. ცილინდრებს ატარებდნენ როგორც დიდები, ასევე პატარებიც. ქუდი ქმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ ადამიანი უფრო ადვილად აღწევდა თავს მომავალ საშიშროებას, ავადმყოფობას ან რაიმე უბედურებას. მეცნიერთა აზრით, ფარაონის ქუდი იცავს ადამიანს თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მანე ზეგავლენისგან, ის ანეიტრალურ კომპიუტერულ, ტელევიზორის გამოსხივებას, მიკროტალღურ სხივებს და ა.შ.

ნეფრტიტის ქმარი უსხოვლანებელი იყო?

არსებობს მოსაზრება, რომ პირამიდები არამიწიერი ცივილიზაციის ნაშთებია. ამასთანავე, თვით ფარაონებიც, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არ ჰყვანდნენ დედამიწელებს. ისინი ყველასგან განსხვავებულად გამოიყურებიან, განსაკუთრებით ეხნატონი, ტუტანჰამონის ნამდვილი მამა და ასევე ცნობილი ნეფრტიტის ქმარი, რომელსაც გველივით წინ წამოწეული ყბა ჰქონდა, ხოლო თავის ქალა კვერცხს მიუგავდა, კეფა მკვეთრად უკან შეწეული. თავის ქალა მას ორნამენტულად უფრო დიდი ჰქონდა, ვიდრე ჩვეულებრივ უბრალო ეგვიპტელებს. თითები ობობას საცეცხებს მიუგავდა, ფეხის ტერფები, როგორც საცურაო ლასტები, უზარმაზარი საკვერცხეები და... ქალის მკერდი.



ამ ცნობამ მსოფლიო 1907 წელს მოიცვა. სარკოფაგის გამოკვლევებიდან კი მხოლოდ ის დადგინდა, რომ ეხნატონს უშველებელი კვერცხის ფორმის თავი ჰქონდა.

საიდან წარმოიშვა ასეთი შთამომავლობა? შთამომავლობის კვლევის საკითხები მარილენდის შტატის კვლევის ინსტიტუტში განიხილება, სადაც გამოჩენილი ადამიანების ავადმყოფობის ისტორიებს შეისწავლიან. სხვადასხვა დროს აქ ნაპოლეონის, მოცარტის და თვით ალექსანდრე მაკედონელის ფენომენებსაც შეისწავლიდნენ. ახლა ეხნატონის, ანუ ამენჰოტეპ IV უფრო ნეფრტიტის ქმარის ჯერი დადგა, რომელიც 3500 წლის წინათ გარდაიცვალა.

ირვინ ბრივერმანის შეხედულებით, ფარაონი გენეტიკური კლონირების ნაყოფია. ის მუტაციის შედეგად წარმოიშვა. შესაძლოა, ეხნატონი მარფანის სინდრომითაც იტანჯებოდა, რაც სახის დაბოლოების დაგრძელებას იწვევს, თითების გადასხვავებებს და ქალის ჰორმონების მოჭარბებას. ფროლიხის სინდრომი, რომელიც ცხიმებს აგროვებს მამაკაცის სათესლე პარკებში, ხოლო თემებს ქალივით

ამრგვალებს, მოსალოდნელია, სტანჯავდა ეხნატონს. პირველი სინდრომით დაავადებული მამაკაცები, როგორც წესი, იმპოტენციით იტანჯებიან, ხოლო ფროლიხის სინდრომი უშვილობის პირველი მაპროვოცირებელი ფაქტორია. როგორც ისტორიული ქრონიკები იუწყებიან, ეხნატონს არც ერთი აწუხებდა და არც მეორე. ის გამოირჩეოდა განსაკუთრებული მამაკაცურობით, ჰყავდა მრავალრიცხოვანი ჰარემი, ორი ოფიციალური ცოლი და ათობით შვილი. ულაამაზესმა ნეფრტიტმა მას 6 გოგონა აჩუქა.

ტუტანჰამონი ფარაონის მეორე ცოლის – კიას ვაჟი, რომლის შესახებ ცოტა რამაა ცნობილი, სავარაუდოდ, გვარის გამგრძელებელი იყო.

უფოლოგები მიიჩნევენ, რომ ეხნატონი უცხოპლანეტელთა ექსპერიმენტის შედეგია და ცდილობენ მიაღწიონ ეგვიპტის ხელისუფლების თანხმობას შეისწავლონ ეხნატონის გვამის ნაშთების დნმ ამ ვარაუდების დასამტკიცებლად.

მიწისძვრა

მიწისძვრა – ხანდახან ჯობს ამაზე არც ვიფიქროთ, რადგან ისეთი უმწეობის შეგრძნება ჩნდება, რომ ამან შეიძლება ფსიქიკაზე მართლაც მძიმე იმოქმედოს.



რეგისტრირებულია, რომ დეკემბერში ყოველწლიურად 500 000 მიწისძვრა ხდება. მათ შორის დაახლოებით 1 0 0 0 0 0 გრძობს ადამიანს. უმეტესობა კი საერთოდ ვერ გეზულობს. 8,8 ბალიანი მიწისძვრის შედეგად 27 თებერვალს ქალაქი კონსტანტინოპოლის დასავლეთისკენ 3 მეტრით გადაიხარა. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, დღე-ღამის 24 საათიანმა რეჟიმამც ცვლილება განიცადა.

ასეთი შეხედულება არსებობს, რომ „მიწისძვრის ამინდი“ სინამდვილეში მითია, ამბობენ აშშ-ს სახელმწიფო გეოლოგიური სამსახურის სწავლულები. მიწისძვრა შეიძლება მოხდეს ყინვამიც, შუაგულ ზაფხულის პაპანაქებაშიც, წვიმაშიც და ყოველთვის, როცა ამის პირობები მომზადდება მიწის წიაღში. არც ამინდის სტიქიური შემოტევები, არც ატმოსფერული წნევების ცვლა არ არის იმდენად ზიანის მომტანი, როგორც შეიძლება იყოს მიწის სიღრმეიდან ამომავალი ბიძგები.

2004 წლის ინდონეზიის მიწისძვრამ, რომელიც 9,3 ბალით აღინიშნება რამდენიმე შეცვალა დედამიწა. პლანეტა სხვანაირი გახდა. გეოლოგიური თვალსაზრისით, მიწისძვრების კუთხით, ყველაზე აქტიურ რეგიონად დედამიწაზე ეწ. „წყნარი ოკეანის ცეცხლოვანი რკალი“ ითვლება. ის მთელი წყნარი ოკეანის პერიმეტრს მოიცავს სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის რაიონის ნაპირების, იაპონიის, ჩინეთის და რუსეთის ჩათვლით. სწორედ აქ ხდება ყველაზე ხშირი მიწისძვრები მსოფლიოში.

ნავთობის მოპოვება თავისთავად იწვევს შედარებით მსუბუქ მიწისძვრებს, თუმცა ამის შესახებ არ ლაპარაკობენ.

დღესდღეობით დაფიქსირებული მიწისძვრებიდან ყველაზე მძლავრი 1960 წელს 22 მაისს მოხდა ჩილეში. იგი 9,5 ბალიანი იყო. ჩილეში მიწისძვრის შემდეგ პლანეტა რამდენიმე დღის განმავლობაში ირყეოდა.

ყველაზე მომაკვდინებელი მიწისძვრა 1556 წლის 23 იანვარს ჩინეთში მოხდა, მაშინ რეგიონის 830 000 მაცხოვრებელი დაიღუპა.

მომზადდა ანა პადატპორიამ

გამოვიდა საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის ან-ზორ ბაბუხაძის წიგნის „შეცდომა თუ დანაშაულისა?“ მეოთხე ნაწილი.

„თუ რუსეთთან ეკონომიკური კავშირი გავწყვეტთ, წარმოუდგენელი კატასტროფა გველის“, „ვის ხარჯზე მდიდრდებიან ჩინოვნიკები?“ „ქართულ სახელმწიფოს მიზანმიმართულად ანადგურებენ“ და ა.შ. ეს იმ სტატიების მცირე ჩამონათვალია, რაც ამ წიგნშია თავმოყრილი.

ავტორი აქ ეხება დღევანდელი უმნიშვნელოვანეს პრობლემებს და გვთავაზობს გამოსავლებს გზებს. ეს გამოცემა მნიშვნელოვანი შენაძენია საზოგადოებრივი პრობლემებით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

ან-ზორ ბაბუხაძის

შეცდომა თუ დანაშაული?!

ნაწილი VI

„ნათონალის სხპს ან მთხმპ“

თბილისი 2012

ასკროლოგიური პროგნოზი

მმრძი – უცნობთან დაწყებული თანამშრომლობა თქვენი კარიერისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ – უფრო გათვლილი და ბალანსირებული მოქმედება გმართებთ. ოჯახში მომწიფებული კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეიძლება.

კშრო – ყველას, განსაკუთრებით კი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხართ და უარს ვერავისგან აიტანთ. გონება კარგად გიმუშავებთ და ფინანსურ პრობლემებს შესანიშნავად აგვარებთ. ოჯახში ძალიან მშვიდი და ჰარმონიული სიტუაცია გაქვთ.

ტშპამპი – ტყუების ენერგეტიკული მდგომარეობა საკმაოდ არამდგრადია და კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. თუმცა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე წუწუნის ნამდვილად არ მოგიწევთ.

მირჩხი – სიმშვიდე და გაწონასწორება გჭირდებათ. იმ უამრავი საქმიანი წინადადებებიდან, რომლებსაც ამ დღეებში შემოგთავაზებენ, არცერთი ივარაუდებთ და აძენად, დაფიქრებაც არ ღირს.

ლომი – თუ ამ კვირას ახალი სამსახურებრივი რომანი დაიწყებთ, აუცილებლად გამოიწვევთ ერთმანეთისგან საქმე და პირადი საკითხები. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მართლაც ცხელი დღეები გაქვთ.

მალწული – თქვენი კარიერის საკითხით, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კომპეტენტური პირებიც დაინტერესდებიან და დიდი ხნის ნანატრ წარმატებასაც მიაღწევთ.

სასწორი – ერთობლივ პროექტზე იწყებთ მუშაობას, რომელიც აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება და ამ საქმიან სხვებზე მეტად თქვენ ისარგებლებთ. ფინანსების საქმე ნამდვილად გამოსწორების გზაზეა.

მორიმი – ეს კვირა საკმაოდ ნელა და მძიმედ იწყება, მაგრამ ყველასთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, მოულოდნელი შედეგებით დასრულდება.

მშვილდოსანი – მხოლოდ კარიერაზე ფიქრობთ და თქვენი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადადის. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გამოგჩრეთ და გვიან მიხვდეთ.

თხის რმა – სარისკო საქმეებს, ჯობია თავი აარილოთ. განსაკუთრებით კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ერიდეთ. ოჯახში თითქმის ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება, მაგრამ დროებით ერთმანეთისგან დასვენება ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდება.

მმრწყული – საკმაოდ დაბაბული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებით და მსქიმალური შემართების და მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ.

თმშპამპი – ფინანსური საკითხები ამ კვირაში ნაკლებად გადარდებთ, ოჯახის წევრებსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება.